



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 1782
10/08/2020

ზუგდიდი

1782-02-4-202008101450



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 აგვისტოს N3704 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- შეტანილ იქნას ცვლილება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 აგვისტოს N3704 ბრძანებას დაემატოს „დანართი N3“.
- შეტანილ იქნას ცვლილება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 აგვისტოს N3704 ბრძანების N1 დანართის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„ბ) მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება ეკონომიკურ, საქმისწარმოების ან/და ქონების მართვის სფეროში“;
- ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
- დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის საშუალებით ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
- დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge>) გამოქვეყნება.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი